მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N36 (9323) 30 დეკემბერი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

იმედები უიმედობისთვის არ გავწიროთ

ხვალ ახალი წელია, გილოცავთ!

ალბათ ძნელია პოლიტიკურად, სოციალურად, ემოციურად რთული გასული წლის შემდეგ სამომავლო იმედებზე ისაუბრო, მაგრამ იმედი ხომ იმისაა, სულ ბოლოს რომ მოვდეს, სულ, სულ ბოლოს...

ან სულაც არ კვდება და ყველა უიმედობის შემდეგ თავიდან იბადება. და მაინც, სანამ ილიას რიტორიკულ შეკითხვას, ჯერ კიდევ პასუხგაუცემელს, პასუხს მოვუძებნიდეთ, ისევ უნდა დავსვათ ივი რიტორიკულად _ "რა ვითხრათ, რით გავახაროთ?!"

თუმცა, რით და... იმით, რომ კიდევ ერთი წელიწადი გამოიმეტა ჩვენთვის არსთაგამრიგემ, რომ ახალი გათენდება დილა, რომ ჩვილის ბაგეები ისევ იტყვიან "აღუს", რომ სიკეთით დაიძლევა ბოროტება, რომ შეძახილს "ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან", განათლებული, სულით ჯანსაღი ახალგაზრდები შეაგებებენ, არ დავივიწყებთ ვისი გორისა ვართო!

დიახ, უცებ არ დალაგდება არეული ქვეყანა, მარჯვენაში გამრტყმელს მარცხენას ადვილად არ მიუშვერენ ლოყას, დანგრეულის ასაშენებლად ან სახნავ-სათესად თიოქმის არავინ დაიკაპიწებს მკლავებს, შრომისა და საქმის ერთგულების გარეშე ვერ მოვაგვარებთ მოუგვარებელს, მაგრამ ახალი წელი იმისაა, რომ სიახლედ მოიტანოს ის, რისთვისაც ჯადოსნურ ჯოხს ვნატრობთ, ხელის ერთი მოსმით ფონს გასასვლელად.

ხვალიდან კიდევ ერთი ახალი წელი დაადგება საკუთარ სავალს. "ამ ცხოვრების დედაც" გუშინ იყო, უფრო სწორად, ჯერ ისევ გუშინ და გაჭირდება თვალის დახამხამებაში ხვალის საწინდარი "ცხოვრება მშვენიერია" გახდეს, მაგრამ ხვალ მაინც ახალი წელია და ... მოწყენილ სახეებს ჩამოფარებული ღიმილი მხოლოდ გროტესკულ ნიღბად არ უნდა შევარჩინოთ გაყინული მზერით ძალისძალად ანთებულ თვალებს. თავადვე უნდა შევქმნათ საკუთარი ბედნიერებ, სხვის ღიმილს ღიმილი, ჩამოსართმევად გამოწვდილ ხელს ხელი მივაშველოთ, მოტეხილი პურის ყუას მადლის მარილი მოვაყაროთ. სიკვდილი, გუშინ რომ დაგვამარცხა, სიცოცხლით უნდა დავჯაბნოთ!

რაც იყო, გუშინ იყო! დღეს კი, ახალი წლის ზღურბლზე იმედებს უიმედობისთვის ნუ გავწირავთ და ლოცვის ძალით, რწმენით ძლიერებმა იესოს მსგავსად სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებით შევეგებოთ 2020-ს, დაწყვილებულ ახალ წელიწადს, რომლის დევიზიც "ცხოვრება მშვენიერია" უნდა იყოს!

ხვალ ახალი წელია! გლოცავთ და გილოცავთ!

თეა გაბუნავილი

მუნიციპალიტეტის მეხი საზოგადოებას ანგარიშს აბარებს

ნინო ნანიტაშვილი

26 დეკემბერს, 15 საათზე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა, ვალერიანე ფოცხვერიამ იქ შეკრებილ საზოგადოებას 2019 წლის სამუშაო ანგარიში ჩააბარა.

შესრულებული სამუშაოების ანგარიშში ვალერიანე ფოცხვერიამ ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები დეტალურად განიხილა. მუნიციპალიტეტის მერმა ყველა სფეროზე დაწვრილებითი ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები წარმოადგინა.

მუნიციპალიტეტის პირველი პირის ანგარიშის მიხედვით 2019 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული აქცენტი სოციალურ პროგრამებზე გაკეთდა. მიმდინარე წელს 3071 ბენეფიციარს გაეწია დახმარება, რისთვისაც 1 054 002 ლარი დაიხარჯა. კულტურულ-შემეცნებითი, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად 2 061 900 ლარი გამოიყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში 4 678 708 ლარის სამუშაოები ჩატარდა. დაიგო 55 კილომეტრი გზა:' მათ შორის 54 კილომეტრი ასფალტი და 1 კილომეტრი ბეტონის საფარი.

ბაგა-ბაღებში რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში 289 385 ლარის სამუშაოები ჩატარდა. რეაბილიტაცია 14 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა.

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით საჯარო სკოლებში 860 000 ლარის სამუშაოები განხორციელდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 33 საჯარო სკოლაში, პირველ ეტაპზე მოეწყო შშმ პირებისთვის პანდუსები, კარ-ფანჯრები და სველი წერტილები გარემონტდა.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა დიდი ჯიხაიშის, ტოლების, საჯავახოს, გორმაღლისა და კულაშის ამბულატორიებს, რისთვისაც 99 926 ლარი დაიხარჯა.

საანგარიშო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძე, ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯურხაძე, ადგილობრივი მოსახლეობა, სხვადასხვა სექტორების ააიპ-ების წარმოადგენლები, პედაგოგები, რკინიგზელები, მეწარმეები და მედია-საშუალებები ესწრებოდნენ.

ვალერიანე ფოცხვერიამ შეხვედრის ბოლოს სცენაზე მიიწვია და მადლობა გადაუხადა ზვიად შალამბერიძეს მაჟორიტარ დეპუტატ გია მიქელაძეს, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიას, საკრებულოს წევრებს, კომუნალური გაერთიანების, კეთილმოწყობის და გამწვანების სამსახურის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის, მერიის სამსახურების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს თვითმმართველობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

სამტრედიელებს სიტყვით მიმართეს ზვიად შალამბერიძემ და ნუგზარ ჯამბურიამ. მათ მოიწონეს მერის პრეზენტაცია, ხარისხიანად შესრულებული სამუშაოებისათვის მხარის რწმუნებულმა მშენებელ ორგანიზაციებს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

მერის პრეზენტაცია დადებითად შეაფასეს შეხვედრის მონაწილეებმა.

2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა

მორიგი სხდომა გამართა 23 დეკემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა, მისი წინადადებით სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი საკრებულოს აპარატის უფროსის, ბატონი ივანე (ვანო) ხუხუნაიშვილის ხსოვნას.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ სიტყვა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა არზუმანიანს გადასცა. სწორედ ბატონი შალვა გახლდათ დღის წესრიგში არსებულ საკითხთა ირგვლივ მომხსენებელი.

საკრებულომ მომავალი 2020 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც 13. 547. 1 ათასი ლარი (ცამეტი მილიონ ხუთასორმოცდაშვიდი ათას ასი) განისაზღვრა. საკრებულოს სხდომა ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად დატოვეს. ამდენად, 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას ისინი არ ესწრებოდნენ.

პრიორიტეტებსა და სხვა ძირითადი პარამეტრების შესახებ "სამტრედიის მაცნე" მომავალში აუწყებს მკითხველს.

ლევან გაბეჩავა

კატეგორიული ტონი და მეტი კომუნიკაციის აუცილებლობა

ლევან გაბეჩავა

წუთებიღა აკლდა 10 საათის შესრულებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის შესახებ რომ გვაუწყეს. დღის წესრიგში მხოლოდ ორი საკითხი იყო თუმცა სხდომა საათზე მეტხანს გაგრძელდა და ძირითადი ნაწილი პოზიცია-ოპოზიციას შორის კამათს დაეთმო.

"სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ". სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 მარტის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

"სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

ამ ორი განსახილველი საკითხის ირგვლივ, მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი შალვა არზუმანიანი გახლდათ. საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისში კოლეგებს, დამსწრეთ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და დარბაზიდანაც კეთილი სურვილებითვე უპასუხეს, ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ოპოზიციას დღის წესრიგში დასმული საკითხების ირგვლივ კითხვები გაუჩნდა და მათზე სრული, ამომწურავი პასუხის გამცემი დარბაზში აღარავინ აღმოჩნდა.

მერიის ინფრასტრუქტურისა და საფინანსო სამსახურების სრული შემადგენლობისა და მათი ხელმძღვანელებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში ოპოზიციის მოთხოვნა განსახილველი საკითხებში შესაბამისი სამსახურების მეტად ჩართულობის შესახებ, სამართლიანი იყო. საოცრად ობიექტური და კატეგორიული გახლდათ საკრებულოს თავმჯდომარეც, როცა განაცხადა: "არა აქვს მნიშვნელობა რომელი ფრთა რას მოითხოვს, რაკი იყო მოთხოვნა, პასუხი კონკრეტულად და ობიექტურად უნდა გაეცეს ნებისმიერ საკითხსო".

კვლავ ჩვენის აზრით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებსა და მერიის სამსახურებს შორის, კიდევ მეტი კომუნიკაციების არსებობის აუცილებლობა, "კორიანტელის" თანხლებით მიმდინარე სხდომაზე აშკარად დაფიქსირდა.

დაბოლოს, ღრმად ვართ დარწმუნებული, როგორც პოზიციის, ისე ოპოზციის წარმომადგენელთა გულისწყრომის მიზანი სხვა არაფერი იყო, გარდა კეთილდღეობა სამტრედიისა და სამტრედიელებისა.

საკრებულომ ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, განსახილველ საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

მრავალ ახალ წელს!

ლევან გაბეჩავა

“ყველამ, მოვინანიოთ წარსული წლის შეცოდებანი და ახალ წელს მივეგებოთ ახალი ძალითა და მხნეობით, გულწრფელად და ღრმად ჩავიჭედოთ გულში ეს მცნება: სადაც ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლითა და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამე. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი და ჩვენ საკუთარ შინაურ საქმეებსაც წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სასარგებლონი ვიქნებით”.

პრეზიდენტი ილია ჭავჭავაძე

ურთიერთბრალდებების, ბოღმის, ღვარძლის არნახული ნთხევის, პოლიტიკურად თუ სოციალურად ყველაზე ჭრელი და არაპროგნოზირებადი გახლდათ მიმავალი 2019 წელი. არ დავინდეთ არავინ და არაფერი. მუშტებით საუბრის მიულებელმა ტენდენციამ მთავრობიდან პარლამენტში, პარლამენტიდან საპატრიარქოში გადაინაცვლა და ერი და ბერი საგონებელში ჩააგდო. წლის ბოლოს ახალგაზრდების თვითმკვლელობებმა ხომ ყველა ჭირი და სატკივარი გადაფარა. სამწუხაროდ ვერც 2019 წელს ვიხილეთ ხალხმა ეკონომიკური სასწაულები, ვერ ვიგრძენით შვება. (ყოფითი პირობების გათვალისწინებით) პირიქით. უკვე დიდ ქალაქებსაც ემჩნევა ხალხის სიმცირე. ისევ ტოვებენ და ტოვებენ საქართველოს ქართველები, მიდიან თავისა და ოჯახის გადასარჩენად. ისევ უმუშევრობა, მასობრივი, საყოველთაო.

ტრადიციულად ახალი წლის მიჯნაზე ვაჯამებთ განვლილს და სამომავლო, საახალწლო გეგმებს ვსახავთ.

და მაინც როგორი იყო, რა გაკეთდა, რა ვერ მოხერხდა 2019 წელს? აი, ამ კითხვაზე შევეცდებით მოკლედ გავცეთ პასუხი წინასაახალწლო წერილში.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ 2019 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში წინა წლებთან შედარებით ყველაზე მეტი გზა დაიგო თვით მაღალმთიან სოფლებში, შესახვევებსა თუ ჩიხებში. უკვე ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მალე უასფალტო გზის ნახვა იქნება შეუძლებელი ჩვენს მუნიციპალიტეტში. დიდი ყურადღება ეთმობა სკოლამდელი დაწესებულებების საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას, ცეროდენების კეთილდღეობას. ხელისუფლების ყურადღების მიღმა არც საჯარო სკოლები დარჩენილან, ბევრ საჯარო სკოლას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. აუცილებელია აღნიშნოს რომ უკვე მიმავალ წელს მუნიციპალიტეტში არაერთი მაღალი დონის კულტურულ-შემეცნებითი და ინტელექტუალური, სპორტული ღონისძიება ჩატარდა, რაღა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის მესვეურთა თანადგომითა და პატრონაჟით. პარალელურად არის რიგი საკითხები, რომელთა მოუგვარებლობაც დიდად აწუხებთ სამტრედიელებს.

მოდის 2020 წელი.

საიუბილეოა მომავალი ახალი წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის ამ თავითვე უნდა დაიწყოს მზადება ქალაქის 150 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნისათვის. ამ თარიღს არ ეგების მიჩუმათება, თუნდაც იმიტომ, რომ მეზობელ მუნიციპალიტეტებში ღირსეულად აღნიშნავს მსგავსი იუბილეები. არავის ვმოძღვრავთ, მაგრამ ქალაქის იუბილე, წინასაიუბილეო სამზადისი არა მარტო ქალაქ სამტრედიაში მცხოვრებთა, არამედ ჩვენი მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლებისთვისაც უნდა გახდეს საზეიმო და დასამახსოვრებელი. ფართომასშტაბიანი გეგმა _ გრაფიკა საამისოდ შესამუშავებელი, საზოგადოების ფართო მასების წარმომადგენელთა მონაწილეობით და არა მხოლოდ ხუთი-ექვსი, გნებავთ ათი თვითკმაყოფილი ადამიანის მონაწილეობით. სამტრედია ყველა სამტრედიელისაა, ახლაა საჭირო განვსაჯოთ რეალურად ვის როგორ გვიყვარს, ვინ რა გავაკეთეთ, რას გავაკეთებთ სამტრედიისა და სამტრედიელებისათვის, დიახ, განვსაჯოთ და დამსახურებულად მივაგოთ კეისარს კეისრისა და არა იმას, ვისაც ახლობელი მოცემულ მომენტში მაღალ თანამდებობებზე ჰყავს. მეტი პეწი, მეტი საპატიოობა უნდა მივანიჭოთ ქალაქის 150 წლისთავზე არჩეულ საპატიო სამტრედიელებს, საერთოდ სტატუსს “საპატიო” პატივით უნდა მოვეპყროთ. სამწუხაროდ, დღეს აღარავინ კითხულობს თუ რა უჭირს, რა ულხინს იმ თითო-ოროლა საპატიო სამტრედიელს, თავის დროზე დიდი ზარ-ზეიმით რომ მივანიჭეთ ეს ტიტული.

ახალი 2020 წელი საიუბილეოა ჩენი გაზეთისთვისაც. 5 ნოემბერს 90 წელი სრულდება გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან. წინასაახალწლოდ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ჩვენს წინამორბედ კოლეგებს, გაზეთი რომ მოიტანეს ჩვენამდე და ესტაფეტა გადმოგვცეს. სამარადჟამოდ დარჩება გაზეთის ისტორიაში ვასო შავგულიძის, ჟორჟი ჯანჯღავას, აკაკი კოხრეიძის, ვალერიანე მეგრელიშვილის, ვაჟა ნიკოლეიშვილის, მიხეილ რუხაძის, შოთა მაღლაკელიძის, ოთარ ნაფეტვარიძის, ანზორ გრიგოლიას, სოსო ხაჟალიას, ზოია კალანდაძის, მარო ხუჭუას, თამარ კოხრეიძის, ცისანა ძოძუაშვილის სახელები.

საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ შობა-ახალ წელს ჩვენს ვეტერანებს, 91 წლის კორნელი ჩიხლაძეს, 89 წლის ნაზი კიკაჩეიშვილს, 81 წლის რომან ბექაიას, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ მათ.

ვამაყობთ, რომ გაზეთთან დღესაც თანამშრომლობენ ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები, ჩვენი შტატგარეშე კორესპონდენტები. მრავალი ბედნიერი წელი გათენებოდეთ: ბორის კახიანს, ანტონ გეგეშიძეს, იორამ ნიკოლეიშვილს, რევაზ შამათავას, ნათელა გელეიშვილს, გია ბოჭორიშვილს, მერაბ ჩაჩავას, ილია ლეკვეიშვილს, ნათელა ჯიმშელეიშვილს, გულიკო გოგიტიძეს, ახალგაზრდა შემოქმედთ, ბექა ფოცხვერიას, თემურ ჭახნაკიას, ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს კახა ნადირაძეს. უდიდესი მადლობა პროფესორ ვაჟა თვალავაძეს გაზეთისა და მისი რედაქციისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

გემოვნებიანი, გონიერი მკითხველი არასოდეს ჭკლებია გაზეთს, არც ამჯერად განვიცდით მათ სიმცირეს. გვამხნევებს და მომავალი წარმატების მოტივაციას გვაძლევს თითქმის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლის შემდეგ ღვაწლმოსილი პედაგოგის, ქალბატონ თინა წითელიშვილის სატელეფონო ზარი, თბილი მოკითხვა და ჩვენი ნაღვაწის მისეული შეფასება, მადლობა მას. ყოველთვის გასათვალისწინებელია ასევე ღვაწლმოსილი სამტრედიელის, ქალბატონ ზაირა გრიგოლიას რჩევები, წინადადებები. გვსიამოვნებს ჩვენი გაზეთის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას სიხარულით რომ ელიან ლიანა რუსია, თამარ ჟღენტი, დოდო ბოლქვაძე, გია ძოძუაშვილი, სოსო დუნდუა, მოგელი კუპრეიშვილი, თამაზ ჟორდანია, გიგანტი ბიბილეიშვილის, თენგიზ გალდავა, შუქრი ურუშაძე, გიორგი ლეჟავა, ლუარა კახიანი, ლიანა გეგეშიძე, ნოდარ სტურუა, ტარიელ დვალიშვილი, გიორგი არველაძე, ბევრნი, ბევრნი არიან ისინი.

გვახარებს და აღგვაფრთოვანებს ჩვენი უმცროსი კოლეგის საქართველოს დედაუნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტის შოთიკო ჰაპავას წარმატებები.

90 წლის “სამტრედიის მაცნე” თვალყურს აღევნებს ჩვენს თვალწინ აღზრდილი ახალგაზრდების, ზიკო ჯინჭარაძის, ლუკა ლევიძის, მარი თევზაძის, ჯუბა, ანანო პაპავების, გრიგოლ ვაშაკიძის, ანანო გალდავას, ვახტანგ ნიკოლეიშვილის, დავით მამასახლისის წარმატებებს და გულით ხარობს ამით, ისინი ჩვენი ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებიან პროფესიას. სამტრედიის, საქართველოს სიამაყეა ახალგაზრდა მეცნიერი ბაჩანა (ბაჩუკი) ჩაბრაძე.

ურთიერთბრალდებების, ბოღმის, ღვარძლის ფრქვევის იყო 2019 წელი-თქო, აღვნიშნეთ წერილის დასაწყისში და, ასეცაა.

რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ ფონზეც არსებობენ ადამიანები, რომელთაც ძალუძთ აკეთონ სიკეთე და ამით დაუპირისპირდნენ ბოროტებას, მაგალითი მისცენ მომავალ თაობებს.

ვეტერინარი ექიმი გიგა გელოვანი გვყავს მხედველობაში, რომელმაც საკუთარი ნებითა და სახსრებით სამტრედიის მშენებარე ტაძარს ჯვარი შესწირა.

კარს მომდგარ შობა-ახალ წელს ვულოცავთ ნარინჯისფერმოსასხამიან ქალბატონებსა და ბატონებს, კომუნალური გაერთიანების თანამშრომლებს, ყველაზე ადრე რომ იღვიძებენ და ქალაქის სისუფთავისათვის იღვწიან, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, სახელოვან რკინიგზელებს, სათნოების სახლის სათნო ბინადართ, სასულიერო პირებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მესვეურთ, რომლებიც გულით ზრუნავენ მათზე დაკისრებული უდიდესი მისიის აღსრულებისათვის.

ხვავის, ბარაქის, აკვანთა სიმრავლის, ურთიერთზე ცოდვათა მიტევების, სამშობლოს გამთლიანებისა და აღორძინების, ყოველი ოჯახის, თითოეული ქართველის კეთილდღეობის, მზეგრძელობის ყოფილიყოს ახალი წელი.

მრავალჟამიერ, სამშობლოვ ჩემო!

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია _ საიუბილეო 10 წელი

21 დეკემბერს, თბილისში, სასტუმრო “თბილისი მერიოტში” საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრთა მეთერთმეტე საერთო კრება გაიმართა, ქარტიის ხელმომწერმა, ჟურნალისტებმა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს თავმჯდომარის, ნანა ბიგანიშვილის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, ალეკო ცქიტიშვილის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი მგელაძის მოხსენებები მოისმინეს.

საერთო კრებაზე გამოვლინდნენ ქარტიის პრიზის 2019 წლის გამარჯვებულები. ყოველწლიურად ქარტიის პრიზი რამდენიმე ნომინაციაში გაიცემა. წელს ქარტიის პრიზი ხუთ ჟურნალისტს გადაეცა: ვიდეორეპორტაჟი _ ბესო გვენეტაძე, ინდიგო; მულტიმედია პროექტი _ ლაშა ცერცვაძე, ინდიგო; სტატია ან ნარკვევი ბეჭდვურ ან ონლაინ მედიაში _ ლუკა პერტაია, ნეტგაზეთი; ჟურნალისტური გამოძიება _ ნინო რამიშვილი, სტუდია მონიტორი; ბავშვთა საკითხები _ ეკა ქევანიშვილი, რადიო თავისუფლება.

პირველ ოთხ კატეგორიაში კონკურსი გამოცხადებული იყო IREX-ის მხარდაჭერით; ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქებისთვის პრიზი დაწესებული იყო გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ; გამარჯვებულებს საჩუქრად ქარტიის სპეციალური პრიზები და ლეპტოპები გადაეცათ.

საერთო კრებაზე საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრებმა ქარტიის საბჭოს სამი ახალი წევრი აირჩიეს. საბჭოს წევრები გახდნენ: თბილისის კვოტით _ ზვიად ქორიძე, რეგიონების კვოტით ნინა ხელაძე და ნათია ზოიძე. საბჭოს ახალი შემადგენლობა ასე გამოიყურება: ნანა ბიგანიშვილი (თავმჯდომარე), ლიკა ზაკაშვილი, ზვიად ქორიძე, გელა მთივლიშვილი, ირმა ზოიძე, ნინა ხელაძე, მაია მერკვილაძე, კამილა მამედოვა, ნათია ზოიძე.

ქარტიის წევრებმა 21 დეკემბერს საერთო კრებაზე სარევიზიო კომისიის სამი ახალი წევრიც აირჩიეს: მარიკა დუნდუა, ნინო კაკულია, გუბაზ მეგრელიძე.

დღის ბოლოს წევრებს შორის დისკუსია გაიმართა, სადაც ქარტიის წევრებმა მედიაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს.

საერთო კრების მიმდინარეობისას გამოცხადებულ შესვენებაზე საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ქარტიის ხელმომწერმა ჟურნალისტებმა საპროტესტო აქცია გამართეს, რომელიც მიეძღვნა ბოლო თვეების განმავლობაში ჟურნალისტების მიმართ გახშირებულ თავდასხმებს: 20 ივნისის ღამეს მედიის 40-მდე წარმომადგენლის დაშავებას, ქუჩის აქციების გაშუქებისას მედიის წარმომადგენლების ლანძღვისა და თავდასხმის გახშირებულ ფაქტებს, პარლამენტის კომიტეტიდან ჟურნალისტების გამოძევებას. აგრეთვე, აჭარის ტელევიზიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და ყველა იმ პრობლემას, რომელსაც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ჟურნალისტები აწყდებიან.

ნინო ნანიტაშვილი

წლის საუკეთესო სამტრედიელები დაჯილდოვეს

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად სიგელებითა და ფულადი ჯილდოებით ასაჩუქრებს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, გამორჩეულად წარმატებულ ადამიანებს. დაჯილდოების ცერემონიალი წლეულს სადღესასწაულო სახლ "კოლხში " გაიმართა. საღამოს ორგანიზატორები მერია და მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური არიან. არაჩვეულებრივ გარემოში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებმა გადასცეს პრიზები მუნიციპალიტეტის წარმატებულ ადამიანებს, რომელთა ღვაწლი ქვეყნის მასშტაბით გახდა ცნობილი. ცერემონია შესანიშნავი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა.

დაჯილდოვდა პირველი საჯარო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელი, ირმა ვაშაკიძე, რომელიც განათლების სამინისტრომ წლის საუკეთესო ფრანგულის პედაგოგად დაასახელა, ასევე, სამტრედიის რეალობაში პირველი მენტორი მასწავლებელი _ მეორე საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი _ ვერა ჯიჯელავა. დაჯილდოვდა მეოთხე ბაგა-ბაღის წარმატებული აღმზრდელი, მაკა ჯანელიძე.

რკინიგზელმა კობა ბაკურაძემ ასევე დაიმსახურა წარმატებულის ტიტული. დაჯილდოვდნენ წარმატებული ექიმები: ქირურგი ნოდარ ფახურიძე და ოჯახის ექიმი, ანა კოხრეიძე.

განსაკუთრებული აქცენტი წარმატებულ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებზე გაკეთდა, რადგან 2019 წელს ხვავიანი გამოდგა ჩვენი მუნიციპალიტეტის მონაგარი სპორტული მიღწევების თვალსაზრისით, ბევრი წარმატებული სპორტსმენი ცერემონიას იმ მიზეზით ვერ დაესწრო, რომ განსაკუთრებულ სამზადისშია მოახლოვებული შეჯიბრებების წინ.

დაჯილდოვდა წლის წარმატებული საცხენოსნო კლუბი" სამტრედია". კლუბის დამსახურებულმა მწვრთნელმა, პავლე კაპანაძემ მის მიერ დაწერილი შესანიშნავი ლექსით მიულოცა შეკრებილთ ახალი წელი. დაჯილდოვდა წლის წარმატებული საფეხბურთო კლუბი "სამტრედია" (კარლო კალაძე). კლუბს კიდევ ერთხელ მიულოცეს უმაღლეს ლიგაში გადასვლა და გულშე მატკივრის არაერთგზის გახარება უსურვეს. ჯილდოთი შეფასდა ხელბურთის კლუბ "სამტრედიას" (გიორგი ხელისუფალი) და ფრენბურთის კლუბ "ჯიკოს" (ნუგზარ მიქაძე) ღვაწლი. ფრენბურთში წარმატებული მწვრთნელის ტიტული ერგო მანანა ტყეშელაშვილს, კალათბურთში წარმატებული მწვრთნელის კი, თამაზ ხაფავას. წარმატებული მწვრთნელის ტიტული ჭადრაკში ბესო ლეჟავას, ხოლო, მძლეოსნობაში _ გელა ცინცაძეს ერგო.

დაჯილდოვდა საუკეთესო ახალგაზრდა მეწარმე ნაზი ჩაჩუა. წლის სპორტული მიღწევებისათვის დაჯილდოვდნენ წარმატებული და ტიტულოვანი სპორტსმენები, სპორტსმენთა მწვრთნელები. რომლებსაც გასულ წლებში არაერთხელ უსახელებიათ სამტრედია და საქართველო.

დაჯილდოვდნენ: კიოკუშინკაი კარატეში ერევანში გამართული საერთაშორისო ჩემპიონატის პრიზიორი, მარიამ გოგიტაური და მისი მწვრთნელი, სენსეი, მიხეილ ქანთარია.

ასევე, ჭადრაკში საქართველოს პრიზიორი, რომელმაც შეასრულა საერთაშორისო ოსტატის რეიტინგი ინდოეთში, ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატზე, გიორგი ელაშვილი და მწვრთნელი, ნინო ჯვარშეიშვილი.

ასევე, საქართველოს ჩემპიონი კინგბოქსინგში, გიორგი კვანჭიანი და მწვრთნელი კობა კიკაჩეიშვილი და წარმატებული გოგონა მძლეოსნობაში, ლიზი ჯაბუა და მწვრთნელი თამაზ გოგიბერიძე.

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის, ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი, ბლაგოევგრადსა და ერევანში გამართული საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, დემურ მეგენეიშვილი და მწვრთნელი ლაშა სტურუა.

საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ბლაგოევგრადის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ივერი ჯულაყიძე, და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, ვეფხია სტურუა.

ასევე თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, რიგის საერთაშორისო ტურნირის ვიცე-ჩემპიონი, ელგუჯა ბალანჩივაძე და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი, გიორგი ავალიანი, მათთან ერთად, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ზაზა არქანია.

დაჯილდოვდნენ წლის ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ყაზახურ ჭიდაობაში, ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში და საქართველოს ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი სამბოში, გიორგი ზაქარიაძე და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე, მასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის ღირსების მედლის კავალერი, მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, მწვრთნელი ქართულ ჭიდაობაში, ბადრი შენგელია.

თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის, ედემი ბოლქვაძე და თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი, გოგა ძიგუა. მათთან ერთად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ბიძინა მელაშვილი.

ასევე, ძიუდოში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი, ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი, უშანგი მარგიანი(მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძე).

დაჯილდოვდნენ წლის მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, აკაკი ჩაჩუა, (ამჟამად ავსტრიაში იმყოფება) და მისი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რევაზ გვინცაძე. დაჯილდოვდა 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მფლობელი, მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი 23 წლამდელთა შორის, ევროპის ვიცე ჩემპიონი, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, წლის საუკეთესო სპორტსმენი, გიორგი მელია.

იმერეთის ოლლიმპიური კომიტეტის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, რევაზ რობაქიძე:

"თუ გასულ წელს ვზეიმობდით უჩა მარგიანის ბრინჯაოს მსოფლიო ჩემპიონატზე, წლეულს ვზეიმობთ გიორგი მელიას ვერცხლის მედალს და არა მარტო ვერცხლის მედალს, სამტრედია პირველი იყო, როცა 2019 წლის ყველაზე უხვმოსავლიან ოქტომბრის თვეში მოიპოვა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზია, ეს სპორტსმენი გიორგი მელია გახლდათ, მინდა მას კიდევ ერთხელ მივულოცო ეს წარმატება, დღეს გიორგი და ედემ ბოლქვაძე იმყოფებიან მნიშვნელოვან შეკრებაზე, მათთვის უკვე ჩაირთო ტოკიო 2020-ის საათი, გიორგი პოზიტიურადაა განწყობილი, მოტივირებულია, დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს უკეთესი შედეგების აღნიშვნის საშუალებას მოგვცემს უკვე აქ, ამ დარბაზში. მინდა აღვნიშნო ასევე, რომ იმერეთის უხვმოსავლიან შედეგებში(6 მსოფლიო ჩემპიონი, 9 ევროპის ჩემპიონი, 23 საქართველოს ჩემპიონი) სამტრედიის წვლილი განსაკუთრებულია: 3 ბრინჯაო ევროპაზე, 1 ვერცხლი მსოფლიოზე, 5 საქართველოს ჩემპიონი. დარწმუნებული ვარ, 2020 წელს სამტრედია განსაკუთრებულად ისახელებს თავს. მადლობა, თქვენ, ბატონო ვალერი, რომ ყოველწლიურად აჯილდოვებთ წარმატებულ ადამიანებს, რაც მათთვის უდიდესი მოტივაციის წყაროა. განსკუთრებულად მინდა გამოვყო სასკოლო ოლიმპიადაზე სამტრედიის მაღალი შედეგები, ქალბატონმა მანანა ტყეშელაშვილმა ბრძანა, ჩვენს სკოლაში ყველა სახეობაში ჩემპიონები გვყავსო, სულ ჩემპიონები უნდა იყვნენ, ათეული წლების განმავლობაში მეთერთმეტე სკოლაში დარბაზის პრობლემა იყო, რაც გასულ წელს მოაგვარა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა. დარწმუნებული ვარ, იქ მართლაც ჩემპიონები გაიზრდებიან, სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებულ იქნა რეგიონის მასშტაბით საუკეთესო მუნიციპალიტეტად, ჩვენ შესაბამისი დიპლომი გადავეცით ბატონ ვალერი ფოცხვერიას, ამჯერად კი, გვაქვს ახალი ნომინაცია "ოლიმპიური სპორტის განსაკუთრებული გულშემატკივარი" და მას გადავცემთ ბატონ კარლო კალაძეს.

განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე:

"მადლობა, რომ მობრძანდით და თქვენი ძვირფასი დრო დაგვითმეთ, ყოველწლიურად ვაჯილდოვებთ წლის წარმატებულ ადამიანებს, გისურვებთ, 2020 წელი ყოფილიყოს ხვავის, ბარაქის, სიკეთისა და წარმატებების მომტანი"

მუნიციპალიტეტის მერი, ვალერი ფოცხვერია:

"ჩვენს მუნიციპალიტეტში გრძელდება დაჯილდოვების ტრადიცია, რომელიც კულტურის სამსახურმა დაამკვიდრა, მე-5 წელია ვასაჩუქრებთ წარმატებულ, გამორჩეულ ადამიანებს, მადლობა მათ ამ ღვაწლისათვის, ვუსურვებ ჩვენს სპორტსმენებს, წარმატებებს 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიადაზე, ასევე ყველა სფეროში დიდი წარმატებისათვის მიეღწიოს ჩვენს მუნიცილაპალიტეტს".

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი, თინა ხარძიანი:

"დღევანდელმა დღემ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ სამტრედია ნიჭიერი და წარმატებული ადამიანების სამჭედლოა, ფაქტი სახეზეა, ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა ქართველები".

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ავთანდილ თარგამაძე: " დღეს აქ არ იმყოფებიან გიორგი ზაქარიაძე და უჩა მარგიანი, რადგან, რამდენიმე დღეში სტარტს აიღებს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში, გრძელდება სალიცენზიო ტურნირი, ჩვენი სპორტსმენები იმყოფებიან შეკრებებზე და ემზადებიან ეროვნულ ჩემპიონატზე საასპარეზოდ, მადლობა მათი ღვაწლის აღიარებისათვის და დღევანდელი დღისათვის ბატონ ვალერის, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას, ქალბატონ ნატალიას."

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ვეფხია სტურუა:

"მადლობა ყველას დღევანდელი ღონისძიებისათვის, მეამაყება, რომ სამტრედიელი ვარ, მოგეხსენებათ, 2020 ოლიმპიური წელია, განაცხადი ოლიმპიადაზე უკვე გაკეთდა და ჩვენი საჭიდაო კლუბის"ფალავანის " აღზრდილმა გიორგი მელიამ მოიპოვა ლიცენზია. ვუსურვებთ მას წარმატებას, ასევე თითოეულ თქვენგანს".

"სამტრედიის მაცნე" დაჯილდოებულებს თუ მათ გულშემატკივრებს გაესაუბრა:

პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე:

"ირმა ვაშაკიძე იმსახურებს არამარტო ამ ჯილდოს, ის იმსახურებს ყველა მაღალ რეგალიას, ერთ მაგალითს მოგიყვანთ იმის საილუსტრაციოდ, როგორ დონეზეა ფრანგული ენის სწავლება ჩვენს სკოლაში: ამასწინათ მოვდივარ და ზურგსუკან მესმის მეხუთეკლასელების ფრანგული საუბარი, მოვიხედე და ვხედავ, ირმა და მისი მოსწავლეები საუბრობენ". წარმატებას ვუსურვებ მას და მადლობა დღევანდელი დღის ორგანიზატორებს."

მეორე საჯარო სკოლის დირექტორი, თეა კარტოზია:

"ნამდვილად ამაყი ვარ და ბედნიერი, რომ წარმოვადგენ სკოლას, რომელსაც ჰყავს პირველი მენტორი მასწავლებელი სამტრედიაში, მადლობა ქალბატონ ვერას და მადლობა დღევანდელი დღის ყველა ორგანიზატორს."

ჯეოჰოსპიტალსის ამბულატორიული ცენტრის მენეჯერი, ლუარა კახიანი:

" გილოცავთ ყველას დამდეგ ახალ წელს და დიდ მადლობას მოგახსენებთ დღევანდელი ღონისძიებისათვის, წარჩინებული ექიმი ბევრი გვყავს, როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკოვანი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველას ღვაწლის დაფასება ერთ დღეს ვერ მოხდება, დღეს დავაჯილდოვეთ ორი საუკეთესო ექიმი."

ოჯახის ექიმი ანა კოხრეიძე: "დიდი მადლობა ამ ღამაზი საღამოს ორგანიზატორებს, სამტრედიის ხელმძღვანელობას ამ საუკეთესო ტრადიციის დამკვიდრებისათვის, მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც დააფასა ჩვენი შრომა, ბედნიერ და წარმატებულ წელს გისურვებთ!"

ივერი ჯულაყიძე, სპორტსმენი: "ძალიან კმაყოფილი ვარ, მადლობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ამ ღამაზი დღისათვის, დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ყველას."

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსის მოადგილე, მარინა შენგელია: "ძალიან ვამაყობ, რომ ამ დღესასწაულზე, რომელიც მოაწყო სამტრედიის მუნიციპალიტეტმა, ჩვენი გაერთიანებიდან დაჯილდოვდა აღმზრდელი მაკა ჯანელიძე, რომელმაც არაერთი საინტერესო პროექტით დაგვამახსოვრა თავი. მომავალში ვუსურვებ მას და მის კოლეგებს დიდ წარმატებას, ვულოცავ ახალ წელს ჩვენი გაერთიანების სამასივე თანამშრომელს, მადლობა ყველა მათგანს ასეთი ღვაწლიანი 2019 წლისათვის"

ქრისტე იშვა ბეთლემსა!

ხედავდნენ ღარიბ სახვევში... /არსად სჩანს ხოჭიჭ-აკვანი!../დაემხვნენ მის წინ მორჩილად,/ სასოებით სცეს თაყვანი.../ დიდება ყოვლის შემოქმედს!/ დიდება მისსა მცნებასა!/ დიდება ქვეყნად მაცხოვრის ხორციელ მოვლინებასა!/

აკაკი წერეთელი

თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან შობა ერთ-ერთია, რომელსაც მორწმუნენი დიდი სიხარულით ეგებებიან.

როცა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება გამოქვეყნდა, აღწერა ჩაეტარებინათ რომის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაშიც პალესტინაც შედიოდა, ყველამ თავის ქალაქს მიაშურა. წავიდნენ იოსებიც და მარიამიც იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ბეთლემი ჰქვია. იქ მრავლად იყვნენ ჩასულები, არცერთ სასტუმრო სახლში ადგილი არ აღმოჩნდა. იოსებმა და მარიამმა თავი გამოქვაბულს შეაფარეს. ამ გამოქვაბულს მწყემსები საქონლის სადგომად იყენებდნენ. მოაღწია მარიამის მშობიარობის ჟამმა "და შვა ძე იგი მისი პირმშო და შეახვია იგი სახუეველითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ, არა იყო მათდა ადგილი სავანესა მას."

იმ მხარეში მწყემსები ღამით ნახირს დარაჯობდნენ, ანგელოზი გამოეცხადა მათ და უთხრა: "ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა. რამეთუ იშვა დღეს თქუენდა სასწაულად: ჰოვა ყრმაი იგი შეხუეული და მწოლარე ბაგასა". მეყსეულად გაჩნდა, ანგელოზთან ციურ მოლაშქრეთა ჯარი, რომელნიც ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: "დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობაი, და კაცთა შორის სათნოებაი".

როცა ანგელოზები ზეცად ამაღლდნენ, მწყემსებმა ბეთლემს მიაშურეს, სადაც იხილეს მარიამი, იოსები და ბაგაში მწოლიარე ყრმა _ უფალი ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე.

ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღეს გილოცავთ! უფალი იყოს შემწე და მფარველი სრულიად საქართველოში.

ლევან გაბაჩავა

სოფიო კირთაძის ინიციატივას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მხარდამჭერები გამოუჩნდნენ

27 დეკემბერს საახალწლო ამანათი მიუტანეს სამტრედიაში, მაზნიაშვილის ქუჩის 32 ნომერში მცხოვრებ ნუნუ შარაშენიძის სოციალურად დაუცველ ოჯახს. ტანსაცმელი, ტკბილეული და საზოგადოების მიერ შემოწირული თანხა ოჯახს საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა, სოფიო კირთაძემ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად გადასცა.

სოფიო კირთაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის დირექტორი: "გადავწყვიტეთ, საახალწლოდ გაგვეხარებინა მრავალშვილიანი ოჯახი, სადაც 4 მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს. ამაში საზოგადოების მხრიდან დიდი მხარდაჭერა მივიღეთ. სოც აგენტმა ია კარკაძემ ნუნუ შარაშენიძის ოჯახის შესახებ შეგვატყობინა, რომელიც სოციალურ ბაზაში ყველაზე დაბალი ქულის მქონე მრავალშვილიანი ოჯახია. აქ ყველაზე უფროსი შვილი 10 წლისაა, უმცროსი 3 წლის. აღსანიშნავია, რომ ძალიან მცირე დროში საზოგადოებამ აიტაცა ჩვენი ინიციატივა, ტანსაცმელი, თანხა და ტკბილეული საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეგროვდა. აქვე მადლობა მინდა, ვუთხრა ლაშა კვანტალიანს, პიროვნებას, რომელმაც ჩვენთან ერთად დღევანდელ აქციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო".

ლაშა კვანტალიანი, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკის წარმომადგენელი სამტრედიაში: "ჩვენ მუდმივ მზადყოფნას ვაცხადებთ, ჩავერთოთ მსგავს საქველმოქმედო აქციებში. დღეს ვარ ბედნიერი, რადგან მომეცა საშუალება, ელემენტარული ყურადღება გამომეჩინა შარაშენიძეების სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახისთვის. მე მათ წინასწარ მივულოცე ახალი წელი და ვუსურვე მორალურად და მატერიალურად ძლიერი 2020 წელი".

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებმა "სამტრედიის მაცნეს" აღუთქვეს, მსგავსი ტიპის აქციების ორგანიზებას მომავალშიც გააგრძელებენ.

ნინო ნანიტაშვილი

საახალწლო ამანათები წითელი ჯვრისგან

მიმდინარე წლის 24-26 დეკემბერს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ინიციატივითა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა მორიგი სოციალური აქცია _ მარტოხელა, სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს საახალწლოდ სასურსათო ამანათები გადაეცათ. საქმიანობათა დღის ცენტრის ბენეფიციარები ფილიალის ოფისში დასაჩუქრდნენ, გადაადგილების პრობლემების მქონე ხანდაზმულებს კი ბინაზე მოვლის ჯგუფის წევრებმა ამანათები თავიანთ სახლებში მიუტანეს. დასაჩუქრდა 40 ბენეფიციარი. ანალოგიური აქციები განხორციელდა წინა წლებშიც _ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად აფინანსებს ბენეფიციართათვის სადღესასწაულო ამანათების შეძენას.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალი მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას თანამშრომლობისა და თანადგომისათვის.

ნათია ჯაჯავა
საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი

ასე დადგა ახალი წელი "სამტრედიის მაცნეში"

საახალწლოდ ჟურნალისტებმა საკუთარი არქივები "ამოვქექეთ" და ის სახალისო ამბები მოვიძიეთ წერილებად სხვადასხვა დროს ერთმანეთისადმი რომ მიგვიწერია და დღესაც ხალისიან განწყობაზე რომ გვაყენებს. სამწუხაროა, რომ ზოგიერთის ადრესატი დღეს ცოცხალი აღარაა.

ასეთი ხუმრობები ბევრზე ბევრია რედაქციაში. საახალწლოდ ჩვენი შიდა სამზარეულოს გასაცნობად მათი ერთი ნაწილი გვინდა მოგიყვეთ. ღიმილი და მხიარულება დაგებედოთ, ისეთი გულიანი, ხშირად ჩვენ რომ გვაცინებს და ჩვენს მელომან დირექტორს, ბეჟან ვოგიას აკვირვებს, რა თქვით ასეთი, ყველაზე მაღალი ნოტი, სი ბემოლი რომ "ასწიეთო."

"სამტრედიის მაცნე" გულწრფელად, კეთილი სურვილებითა და სიყვარულით ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს მის მკითხველებს, მთელ მუნიციპალიტეტსა და ქვეყანას. ჩვენი განსაკუთრებული მილოცვა სამტრედიელ რკინიგზელებს, რადგან ისინი, როგორც მკითხველები დღემდე ეროვნულობენ 90 წელს მიღწეულ ჩვენს გაზეთს!

ბაბუნაშვილის სიზმარი

ახლადდაოჯახებული ბაბუნაშვილი დილით ლევან გაბეჩავს უყვება: წუხელ მესიზმრა რედაქციას კიბე მოძვრა და შენ გადავარდი. ძილში ვყვიროდი, ლევანი! ლევანი! გამოღვიძებულს ქმარი მეკითხება რა გესიზმრა ასეთიო. მეტი არ დაგესიზმრო რა, პასუხობს გაბეჩავა, რას იფიქრებს ის ბიჭიო.

ჯარისკაცის ცოლი

ავღანეთის სამშვიდობო მისიიდან ჯარის დაბრუნების დრო მოახლოვდა. ენაკვიმატი ლევან გაბეჩავა თეა ბაბუნაშვილს აფრთხილებს. ახლა ფრთხილად უნდა იყო, ყველა ჯარისკაცს ერთნაირი ფორმა აცვია და ქმარი რომ ვერ იცნო, სხვას არ ჩაეხუტოო.

უსტარი მაკა პაპავას

დღეს მსოფლიო ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. თქვენ, გუშინ, დაახლოებით 11 საათსა და 30 წუთზე უხეშად დაარღვიეთ ჩემი უფლებები, რაც იმაში გამოიხატა, რომ შეაჩერეთ სიმღერა, რომელსაც განცხრომით ვუსმენდი და რომელიც ძალიან მიყვარს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ყოველივე და დღეს, ნებისმიერ დროს მომასმენინოთ ისევ ის სიმღერა. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დარღვეული გექნებათ საერთაშორისო აქტები, რომელიც ჟურნალისტთა უფლებების შელახვას კრძალავს.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უღრმესი პატივისცემით: ლევან გაბეჩავა

"მაცნეს" გოგოების საწუხარი

წუხელ მახო საზღვარგარეთ წავიდა, ყვება ამბად მაკა პაპავა, ზვიადი მორიგეა ხონში, აგებებს ბაბუნაშვილი, კახა ნიგორზღვაშია, ახსენდება ნათია ნაცვლიშვილს, აკაკი არაა სახლში, ამაღამ ჩვენს უსაფრთხოებას იცავს _ შეაშველა ეკა სანიკიძემ. ვალერი თბილისშია, დააბოლოვა ქეთევან ჭელიძემ. ლევანმა იქვე მჯდომი ქვრივი ეკა ცომაიას ქმარიც გაიხსენა და დიანა ნიკოლეიშვილის უქმრობაც და დანანების ნიშნად ლოყაზე იტკიცა ხელი _ მოგიკვდით მე თქვენ, რავა დამეჩაგრა "მაცნეს" გოგოები!

გზაში არ შემხვდეს რატი ამაღლობელი!

პოეზიაზე შეყვარებული ნათია ნაცვლიშვილი ყოველ დილით სამსახურში ადრე მოსული "იუთუბზე" რატი ამაღლობელის და გიორგი ლობჟანიძის პოეზიას უსმენს. მერე ოთარ ჭილაძის ლექსებს ჩართავს. ასე მეორდება თითქმის ყოველდღე. ერთ დილასაც ოთახიდან ლევანის განწირული ყვირილი ისმის: ოთარ ჭილაძეს სადღა ვნახავ და რატი ამაღლობელი გზაში არ შემხვდეს, მოვკლავ!

კორექტორების მატჩი

მოგეხსენებათ, ჩვენს გაზეთს ორი კორექტორი ჰყავს, ორთავე სახელად ეკა. გოგონები ერთ ოთახში სხედან და ერთ საქმეს აკეთებენ საკუთარი მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით. ლევანმა მათ "ანგელოზთა კორპუსი" შეარქვა. ზოგადად, კორექტორების ოთახი "სამტრედიის მაცნეში" მხიარული და ხმაურიანი შეკრებების ადგილია. კედელზე გაკრულ საახალწლო კალენდარზე მიხატული ორ გოჭიდან, ერთერთი ბურთით ეხატა. ლევანი რის ლევანი იყო, გოჭებსა და კორექტორებს შორის პარალელი არ გაევლო. ერთ დღესაც ხმამაღლა ამბობს: მოვკლავ ცომაიას, სანიკიძეს ბურთს რომ არ უთმობს, ეს ნაზია და ვერ ართმევსო. ერთ დილასაც ორივე გოჭი ბურთით დაგვხვდა, არანაკლებ იუმორიან შოთიკო პაპავას ერთი ბურთი გამოუჭრია და უბურთო გოჭისთვის მიუხატავს. მეორე დილით თვით ლევანიც გაოცებული კითხულობდა, რა ხდება, ვინ მისცა ორივე გოჭს ბურთიო.

ვინ გვიჩივლებს

გაზეთის დაკაბადონების დღე "ანათმეაა" რედაქციაში. ერთ-ერთი მორიგი ნომრის დაკაბადონებისას გაზეთში მასალა გადის სათაურით "რა მისწერა ჰიტლერმა მუსოლინს".

ლადო წყარო არ დაგავიწყდეს, საიდან არის მასალა, _ ეუბნება თეა ბაბუნაშვილი ლადო ნიკოლეიშვილს.

ლადო წყარო მიუთითე, გვიჩივლებენ, _ არ ისვენებს ბაბუნაშვილი.

ლადო წყარო! _ ისევ იმეორებს თეა.

ვინ ჯანდაბა იჩივლებს ჰიტლერი მკვდარია და მუსოლინი, აფეთქდა ლადო.

ლექსი თქვი

ჩვენი ცხონებული ცისანა დეიდა, (ძოძუაშვილი) რედაქციის შემოსასვლელ ოთახში საახალწლოდ გაწყობილი ნაძვის გვერდით იჯდა. ახალი წელი მიულოცა და დირექტორმა ბეჟან გოგიამ შოკოლადი მიაწოდა. ლევანი მიუბრუნდა: ცისანა, ახლა ლექსი უნდა თქვაო. ნუ ტინტილობ ბიჭო, ნუ ტინტილობ! _ როგორც ყოველთვის იცოდა ლევანის შეხუმრებაზე, შეეპასუხა ცისანა დეიდა.

სამში ერთის აქცია

ბატონი სოსო ხაჟალიას ინტელექტი, ენაკვიმატობა საყოველთაოდ იყო ცნობილი.

ერთი ჩვენი პატივცემული კოლეგა ქუთაისში ბრძანებულა, სადაც აქცია ჩატარებულა. სამ ძველ წიგნს ჩააბარებდი და ახალს გჩუქნიდნენ. ჩამოვიდა ის ჩვენი კოლეგა და ფიქრს მიეცა, თუ როგორ დაესათაურებია ამ ფაქტის ამსახველი ინფორმაცია. რად უნდა ამდენი ფიქრი? დაარქვით წერილს სამში ერთის აქცია. უთხრა ბატონმა სოსომ.

მართალია ინფორმაცია სხვა სათაურით გავიდა, მაგრამ ჩვენ დიდხანს ვიცინოდით.

• • •

რედაქციის ყოფილი ბუღალტრის, შორენა სარქისოვის მამა, მიშა სარქისოვი საფინანსო სისტემის ღვაწლმოსილი თანამშრომელი გახლდათ. ენაწყლიანი მოსაუბრე და იუმორით სავსე კაცი იყო ბატონი მიშა. 70 წელს რომ გადასცილდა ერთი ასეთი სხარტულა ჩავიწერეთ მისგან:

შუადამისას ჩემი ცოლი,
აქ მოდიო მაძლევს ნიშანს,
იმას კი აღარ კითხულობს,
თუ რა შეუძლია მიშას.

• • •

საქართველოში გერმანიიდან მეორადი ტანსაცმლის ახალი პარტია შემოვიდა. შევარდნაძისა და გერმანიის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის გენშერის მეგობრობას უმადლოდა ხალხი ამას. ბატონმა სოსო ხაჟალიამ ასე გალექსა ეს ამბავი:

გადატრიალდა ქვეყანა,
ქართველნი დავრჩით საწყალნი,
წილად მარგუნეს მე ცოდვილს,
გენშერის ქვედა საცვალი.

• • •

დედულეთი ბატონი სოსოს სამეზობლოდ მყავს. ერთხელ იქეთ მიმავალს მხარზე თოხგადადებული ბატონი სოსო შემხვდა. სად მიბრძანედები-თქო ვკითხე, არც კი დაფიქრებულა ბატონი სოსო ისე მისებურად, ომახიანად მიპასუხა: მამაჩემთანო. ვიცოდი რომ მამა დიდი ხნის გარდაცვლილი ჰყავდა. საუბარში გაირკვა, რომ თურმე მამის საფლავის გასაწმენდად მიდიოდა.

სტუდენტებმა ზუსტად იციან რატომ არიან აქ!

თეა ბაბუნაშვილი

ეს ამბავი ვაცილებით ადრე მოხდა და საზოგადოებაც მეტნაკლებად ინფორმირებული გახლავთ მის შესახებ. თუმცა, გადავწყვიტეთ საახალწლო ნომერში სასიამოვნო სიახლედ მასზე უფრო განვრცობილად მოგვეთხრო. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრარული კოლეჯის აღორძინება, გასახარია სამტრედიელებისთვის და სასარგებლო ქვეყნისთვის. მართალია, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც რამდენჯერმე გამცნეთ, ჯიხაიშის აგრარულ კოლეჯში სასიკეთო ცვლილებები იგეგმება კი არადა, დაუყოვნებლივ იწყებათქო, მაგრამ იმედები ჩვენც და კოლეჯის მესვეურებსაც აქამდე დაწყებული ყველა მცდელობისას გაუცუდდა. მართალი ვითხრათ, ამჯერად ცოტა სიფრთხილით მივუდექით იმ სიახლის გაშუქებას, ახლა რომ უნდა მოვითხროთ. თუმცა, ისეთი პირი უჩანს, ამჯერად სიტყვა მართლა სიტყვაა!

ჯერ კიდევ 1923 წელს, საკუთარი საკარმიდამოს ნაწილი საზოგადოებრივ სარგებლობაში გადასცა სოფელს და ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და დიდმა რეფორმატორმა, "ულმობელი საქმის კაცად" წოდებულმა ნიკო ნიკოლაძემ, 1925 წელის ოქტომბერში დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დააარსა საკუთარ სოფელ დიდ ჯიხაიშში. ხუთი წლის შემდეგ, 1930-ში, სასწავლებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად გადაკეთდა. 1967 წლიდან ტექნიკუმის საყრდენ-საჩვენებელ და საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტატუსის მინიჭებასთან ერთად, იგი დამაარსებლის, ნიკო ნიკოლაძის სახელს ატარებს. 1993 წლიდან ახალი დროების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აგრარულ-ეკონომიკურ კოლეჯად იწოდება. 2007 წელს პროფესიული სწავლების ცენტრად გადაკეთებიდან სამ წელიწადში, იგი საერთოდ გაუქმდა. კითხვაზე _ რატომ, სასწავლებლის მესვეურებმა პასუხად "ასეა საჭირო!" მიიღეს. ჯიხაიშის აგრარული კოლეჯი მეცხრამეტე გახლდათ იმ პროფესიული სასწავლებლების სიაში, მაშინდელმა ხელისუფლებამ რომ გააუქმა. როგორც მისი ხელმძღვანელი ნუგზარ მიქაძე ამბობს, არ დანებდნენ და გამოსავალს დღემდე ეძებდნენ. უფრო სწორად მანამ, სანამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი არ დაინტერესდა ამ სასწავლებლით. სტუ-ს რექტორისა და მისი თანამოაზრეების ძალისხმევით, უნივერსიტეტს ლიკვიდირებული კოლეჯის ტექნიკურ-მატერიალური ბაზა გადაეცა და იგი მის სტრუქტურაში სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიულ კოლეჯად დაფუძნდა. 2015 წლიდან სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს გამოეყო და აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა. ორიოდ კვირის წინ, სწორედ ამ ფაკულტეტის დეკანი გიორგი ქარცხავა, ფაკულტეტის მენეჯერ აკაკი გუნცაძესთან და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს დარეჯან მეფარიშვილთან ერთად სტუმრობდნენ დიდი ჯიხაიშის აგრარულ კოლეჯს.

უკვე მესამე წელია დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯი ამ ფაკულტეტის შემადგენლობაში ოფიციალურად ირიცხება.

ამ ეტაპზე სასწავლებელში ოთხი პროგრამა, მეფუტკრეობა, მევენახეობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და საბუღალტრო აღრიცხვა ისწავლება მოდულური სწავლების ფორმით.

რაც შეეხება დღეს იქ არსებულ ინფრასტრუქტურულ პირობებს, სახარბიელო ნამდვილად არ გახლავთ, თუმცა, როგოც გიგა ქარცხავა აღნიშნავს, ცენტრალური ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი 5 მილიონი ლარი გარანტია იმისა, რომ სულ მალე აქ თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ინფრასტრუქტურის მქონე სასწავლებელი იქნება, რომელიც 500-მდე სტუდენტს მისცემს განათლებას. შენობის სრული რეკონსტრუქციის გარდა, იგი შესაბამისი ლაბორატორიებით აღიჭურვება. კვალიფიციური სპეციალისტების აღსაზრდელად, სასწავლებელში დასაქმდება მაღალკვალიფიციური კადრები. ამასთანავე, 2020 წლიდან იგეგმება მათი გადამზადება შესაბამისი ტრენინგების ხარჯზე, რომლებსაც საერთაშორისო ტრენერები ჩაატარებენ. გარდა ამისა, ორი წლის წინ სასწავლებელს უკვე დაუბრუნდა 17 ჰა-ზე განთავსებული დამხმარე მეურნეობა. "ეს გახლავთ ნიკო ნიკოლაძის დაარსებული სასწავლებელი. მან იგი 95 წლის წინ დააარსა. ამ გენიოსმა ქართველმა მაშინაც ზუსტად იცოდა ის რეალობა და პერსპექტივები, რაც ქვეყანას დღეს აქვს. მან იცოდა რა უნდა გაეკეთებია და სად უნდა გაეკეთებია. სამტრედიას ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რომ ამ ადგილზე სასწავლებლის დაარსებით, თავის დროზე ნიკო ნიკოლაძეს და ახლა ჩვენ, შეგვიძლია მოვიცვათ მთელი დასავლეთ საქართველო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე არა, მაგრამ 2022 წლიდან შესაძლებელია საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციაზეც ვიზრუნოთ. ქვეყნის განვითარებისთვის პროფესიული განათლება აუცილებელია და გეზიც აქეთკენ არის აღებული. მით უმეტეს, სტუდენტებთან დღევანდელმა შეხვედრამ ცხადყო, რომ ამჟამად

აქ ყველა მიმართულებით უკვე გამოცდილი პრაქტიკოსი კადრები სწავლობენ, ისინი პროფესიონალები არიან საკუთარი გამოცდილების ხარჯზე."

ეს სამომავლო გეგმები გახლავთ დიდი ტრადიციების მქონე სასწავლებლის კვლავ ასაღორძინებლად. თანაც ძალიან ახლო მომავალში განსახორციელებელი გეგმები, რომელზე მუშაობაც ფაქტობრივად დაწყებულია. მანამდე იქ სწავლება უკვე მიმდინარეობს და როგორც აგარარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი გიორგი ქვარცხავა აღნიშნავს, საკმაოდ კარგი სტუდენტებიც ჰყავთ. გათვლა ასეთია, დიდი ჯიხაიშის კოლეჯი დასავლეთ საქართველოში აგრარული მიმართულებების მთავარ ცენტრად უნდა იქცეს.

იმაში, რომ ეს კიდევ ერთი დაპირებად დარჩენილი დაპირება არ გახლავთ, უკვე ამ კუთხით დაწყებული საქმიანობა და სასწავლებლის სინამდვილეში განვითარებული მოვლენები გვარწმუნებენ.

"სამტრედიის მაცნეს" ულოცავენ





რას დავუცდიდი, თავადაც არ ვიცი...

თეა ბაბუნაშვილი



მაყურებელი სცენაზე და სცენა მაყურებელთან კიდევ უფრო ახლოს _ ესეც რეჟისორის ჩანაფიქრი გახლდათ პატარა სივრცეში დატეული დიდი სათქმელის გასათავისებლად. ასე პირველად მოხდა სამტრედიული თეატრალური ცხოვრების ისტორიაში და სცენაზე მაყურებლის შთამბეჭდაობა, უპირველესად თავად მაყურებელმა გამოსცადა საკუთარ თავზე. ერთი მსახიობით ერთი მსახიობის ნათქვამი რეჟისორის გამაფრთხილებელი ჩანაფიქრი გახლდათ: ''ფრთხილად, სასიკვდილოა _ ზომიერება ყოველთვის საჭიროა!'' საჭიროა სიყვარულშიც, რომელმაც შეიწირა კიდეც უგონოდ შეყვარებული ქალი. ''ადამიანის ხმა'' ადამიანის ხმად ისმოდა ეროსი მანჯგალაძის დრამატული თეატრის სცენიდან. ფრანგი დრამატურგის ჟან კოქტოს პიესა საკუთარი თვალთახედვით გადაკეთებულ-მორგებული, რეჟისორმა ვეფხია ნადირაძემ თუმანიშვილის თეატრის სცენაზე დადგა. სენაკის დრამატული თეატრის სცენაზე განსახორციელებელი პროექტი სარემონტო სამუშაოების გამო იქ ვერ დაიდგმებოდა. თუმანიშვილის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მისი დადგმის საშუალება საკუთარ სცენაზე მისცა რეჟისორს. ერთადერთი მსახიობი, რომელიც სპექტაკლში დააკავა ვეფხია ნადირაძემ, თამარ აბშილავა გახლავთ სენაკის თეატრიდან.

სანათური მკრთალად ანათებდა ბნელ ოთახს. ყურმილი, რამდენიმე ტელეფონს ერთნაირად რომ ერგებოდა, მხოლოდ ერთ ზარს ელოდა, უფრო სწორად, ერთის ზარს. ყურმილს იქიდან უმომავლო სიყვარული რეკდა. სასოწარკვეთით გათანგული ქალი, ადგილს რომ ვერ პოულობდა ფუჭი იმედებით გათანგულ საწოლზე, საკუთარ თავს ვერ უმკლავდებოდა. გადღაბნილ სარკეში რეალობა ბუნდოვანი ჩანდა, ქვეშის საათი, სპექტაკლის დასაწყისშივე რომ შებრუნდა წუთების ასათვლელად, ნელა იცლებოდა. ტელეფონი კი რეკავდა, რეკავდა და... თავიდანვე ფუჭი იმედებით დაწყებული ხუთი ბედნიერი თუ რისკიანი წლის დასასრულს ყვებოდა. ''მე ვთამაშობ კომედიას?! არასდროს მიფიქრია, ყოველივე მოგვარდება მეთქი. მე... რაც დავიმახსოვრე ის მივიღე. ბედნიერებას ვეძებდი და... წერილები... ჰო, დავწვავ. უსიამო გრძნობაა არა, როცა შენ გესმის, შენი კი არ ესმით...'' მთლიანობიდან ამოგლეჯილი ფრაზები, ფრთხილი, სინანულიან საყვედურშეპარებული, მთავარი სათქმელის მოსასმენად გამზადებდა _ ''სიცრუე არ შველის უბედურებას!'' ყურმილის იქიდან მხატვარი საუბრობდა. მხატვარი, მასზე შეყვარებული ქალის სული დასახატად უინტერესო რომ გახდარიყო მისთვის. ''ლაპარაკობ, ლაპარაკობ და გავიწყდება, რომ გაჩუმება, ყურმილის დაკიდება და კვლავ სიცარიელესა და სიბნელეში ჩაძირვა მოგიწევს'' _ ესეც იმ სასოწარკვეთილი ქალის ფრაზაა, ერთხელ რომ უკვე სცადა თვითმკვლელობა, რადგან საკუთარ გრძნობებზე ვერც მაშინ გაიმარჯვა. რამდენიმე წუთით შესძლო გამხდარიყო სხვა, ის, ვისაც თავად არ იცნობდა. ''ტყუი, თავს ორჯერ არავინ იკლავს!'' _ მხოლოდ ამის თქმა მოახერხა საკუთარი თავისთვის და ისევ დარეკა, ისევ დასწვდა ყურმილს, რომელიც ყველა ტელეფონს ერთნაირად ერგებოდა და მხოლოდ ერთ და ერთის ამბავს რეკდა. ''ჰო, დავიცდიდი, ხოლო რას დავუცდიდი, ეს თავადაც არ ვიცი...'' _ თქვა იმ ყურმილში, უთხრა იმას, ვისთვისაც სულერთი იყო დაელოდებოდა თუ არა ქალი ყურმილს იქით. და არც დაიცადა, გრძნობებით გათანგული საწოლი შეყვარებული ქალის სულით დამძიმებული, ნელ-ნელა ჩაიფუშა. თან თვითმკველეობით დასრულებული სიცოცხლე წაიღო. იმ ჩანთას კი, ალბათ კარისკაცთან რომ დატოვებდა, და რომელშიც არ არ იქნებოდა სახსოვრად დატოვებული ტყავის ხელთათმანი, ვინმე მოაკითხავდა პატრონამდე მისატანად, რომელსაც ახალი სიყვარული უკვე ''დაეწყო''!

ჟან კოქტოს კლასიკად ქცეული ეს ნაწარმოები, მხოლოდ დრამატურგიად დარჩებოდა, რომ არა რეჟისორის განსხვავებული ხედვა. ქმედებით გამოხატულ მთავარ სათქმელს სასცენო დეკორაცია ორგანულად ერწყმოდა და ფრაზები ნაწყვეტ-ნაწყვეტ რომ პასუხობდა ყურმილს იქეთ მოსაუბრე იმედგაცრუებას, სინანულის და მსუბუქი ირონიანარევი სიტყვებითაც სრულდებოდა _ ''შენ კარგი ბიჭი ხარ!''

მსახიობის ოსტატობისა და რეჟისორული გადაწყვეტის საუკეთესოდ შერწყმის წყალობით, სცენაზე მსხდომი მაყურებელი ერთგვარად მის პერსონაჟადაც იქცა. ეს ბუნებრივად მოხდა. მხოლოდ სპექტაკლის დასასრულს გაითავისა მან, რომ ამ ავანსცენაზე მხოლოდ მაყურებელი იყო და არა პერსონაჟი და რომ ადამიანის ხმა ყურმილს იქითაც და აქეთაც მხოლოდ მის გასაფრთხილებლად ისმოდა.

რეჟისორ ვეფხია ნადირაძის სპექტაკლს, რომლის დადგმის ხელმძღვანელიც გიორგი სიხარულიძე გახლავთ, თეატრმცოდნე თამარ ხურცილავამ უმაღლესი შეფასება მისცა.

პატარა სივრცეში დიდი სათქმელი ითქვა, ითქვა რამდენიმე ტელეფონს მორგებული ერთი ყურმილით, ითქვა ბუნდოვან სარკეში დანახული სინამდვილით და რეალობას თვითმკვლელობად შერჩა ხელში. ვეფხია ნადირაძის რეჟისორობით დადგმული ''ადამიანის ხმა'' მაყურებლის მქუხარე ტაშით დაამახსოვრდა უჩვეულო დეკორაციით გაწყობილ სცენას.

"მოციმციმე ვარსკვლავებმა" სცენა ააკაშკაშეს

ნათია ნაცვლიშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე ვინ იცის, უკვე მერამდენედ აციმციმდნენ ანსამბლ "ორუდილას" მოკაშკაშე ვარსკვლავები, მოსწავლე-ახალგაზრდ-

ობის სახლის ეს ანსამბლი წლებია, მელომანებით ავსებს გაყინულ დარბაზებს, ამ გოგო-ბიჭების სილამაზე და სიკაშკაშე, მათი ტკბილხმოვანება ყოველთვის იზიდავს ხელოვნების ჭეშმარიტ გულშემატკივარს. ასე იყო ახლაც, ანსამბლმა საახალწლო შოუ "მოციმციმე ვარსკვლავები" შემოგვთავაზა.

კომპოზიტორმა და ანსამბლის ხელმძღვანელმა, ნონა ჭახნაკიამ კონცერტის დაწყებამდე "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა, რომ ეს ორუდილელთა საახალწლო კონცერტებიდან რიგით პირველი კონცერტია. მან მადლობა გადაუხადა ანსამბლის შემოქმედებით ჯგუფს_ ქორეოგრაფებს ნანა ბებიას, ქრისტინე ზაქრაძეს, სამხატვრო ხელმძღვანელს, ელიკო ანკვაბს, სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, მხატვარს, ნანა რუხაძეს, განსაკუთრებული მადლობა კი სამტრედიის კომუნალური გაერთიანების კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლებს და ალექსანდრე ჯვარშეიშვილს გადაუხადა საახალწლო დეკორაციებით სცენის გამშვენებაში გაწეული დახმარების გამო.

25 წლიანი მოღვაწეობით და მიღწევებით ხელდამშვენებული წარვდგებით თქვენს წინაშეო, მიესალმა საღამოს წამყვანი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი, ლუკა ტუღუში მაყურებელს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ანსამბლის ენერგიული გოგო-ბიჭები ცეკვებითა და სიმღერებით. გვანცა გეგეშიძის ოჯახში ყველა მღერის, მან რომ იმღეროს, ვის გაუკვირდება? გვანცამ მართლაც ბრწყინვალედ შეასრულა ნანა კალანდაძის "დელა დელია". საღამოს წამყვანი გამომსვლელებს შეკითხვებითაც მიმართავდა და საინტერესო კითხვებზე არანაკლებ საინტერესო პასუხებს ღებულობდა. ყველაფერი, რაც ორუდილასთან მაკავშირებს, არის ბედნიერებაო, მარიამ ახობაძემ. მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული მარიამი "ორუდილაში" ყოველთვის საინტერესო უცხოურ რეპერტუარს ირჩევს, ჯო დასენისა და მირეი მატიეს სიმღერების შემდეგ, მარიმ ბარბარა სტრეიზანდის სიმღერაც შესანიშნავად შეასრულა. ულამაზესი სიმღერებით წარსდგნენ ელენე შენგელია, ყველაზე პატარა მონაწლე ანანო მსხილაძე, ბარბარე მინაშვილი, ელისაბედ გეგუჩაძე. ანასტასია ტალაბაძე (ანი ლორაკის სიმღერით), მარიამ არველაძე, თეა დათეშიძე და დანიელ ხუჭუა. სერგი კარაკაშიანის სპორტული ინტერესებიც ჰქონია, როგორც წამყვანმა გაგვიმხილა, თუმცა, არც მუსიკალურობას აკლებს ხელს. კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას სიმღერები ბრწყინვალედ შეასრულეს მარიამ არველაძემ და ანასტასია ტალაბაძემ დუეტში. დუეტით წარსდგნენ თეა დათეშიძე და სერგი კარაკაშიანიც.

განსაკუთრებულად დაამშვენეს კონცერტი ქრისტინე ზაქრაძის შოუ-ბალეტ "ფანტაზიის მოცეკვავეებმა".

ემიგრანტის ფიქრები

„მო, ფერების საუფლოში"!

მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, ქართველები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში არიან. ემიგრანტები, იყო დრო, იძულებით მიდიოდნენ უცხოეთში და სამშობლო ენატრებოდათ. დღესაც იგივე სიტუაციაა, თუმცა ამ შემთხვევაში ემიგრაცია სიღარიბის და სიდუხჭირის იძულებამ გამოიწვია. ქართველი ემიგრანტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უცხოეთში ქართული სული არ ჩაკვდეს. სტამბულში ქართული ენის კულტურისა და განათლების ცენტრია, რომელიც თურქეთელმა ქართველმა, ეშრეფ ილმაზმახარაძემ ჩამოაყალიბა. ამ ცენტრში თურქეთელი ქართველები და სხვადასხვა უცხო ეროვნების ბავშვები თუ უფროსები იაკობ გოგებაშვილის "დედაენით" იწყებენ სწავლას. ამ ცენტრში ჩვენ, ემიგრანტებს გვაქვს საშუალება, საფუძვლიანად, შევისწავლოთ თურქული ენა უფასოდ. ამ ცენტრს ამ კვირას სტუმრობდნენ ჰერეთში (აზერბაიჯანი) მოღვაწე პოეტი ზურაბ პაპიაშვილი და მისი ვაჟი, ვასილი. შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ორგანიზებით გაიმართა ბატონი ზურაბის წიგნის "მო! ფერების საუფლოში" პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ თურქეთში საქართველოს გენერალური კონსული ქალბატონი ინგა კიკვაძე და საკონსულოს სხვა ასოციაციის წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს თურქეთის ქალაქ დუზჯეს უნივერსიტეტის ლექტორმა და სტუდენტებმა, რომლებმაც ქართულად შეასრულეს საქართველოს ჰიმნი, წაიკითხეს ქართველ კლასიკოს პოეტთა ლექსები და ფრაზები, ზურაბ და ვასილ პაპუაშვილმა დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს. ბატონმა ზურაბმა საკუთარი ლექსები წაგვიკითხა, მისმა ვაჟმა კი ისაუბრა ჩვენს უმდიდრეს ისტორიულ წარსულზე. ასევე შესრულდა ფოლკლორული სიმღერები. დასასრულს ცენტრის დირექტორმა დააჯილდოვა ღონისძიების სტუმრები. ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სამი ქვეყნის წარმომადგენლები, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველები ერთად ვიყავით. აქ იყო ქართული სულის ზეიმი.

ნატალი შათირიშვილი

თეთრი ვირთხა 2020

დამდეგი 2020 წელი წარმატებას პირდება ყველას, ვინც წარმატების მოპოვებას სამართლიანი გზით შეეცდება.

2020 წლის შემოსვლამდე საზოგადოება ემზადება შეაბიჯოს ახალ ისტორიულ პერიოდში. აღმოსავლურ კალენდრის მიხედვით ღორის წელს თეთრი თაგვი ჩაანაცვლებს. გლობალური თვალსაზრისით იმაზე, თუ როგორ დაიწყება ახალი წლის პირველი პერიოდი, დამოკიდებული იქნება ცივილიზაციის შემდგომი განვითარება.

ჩვენ, როგორც ყოველთვის, მომავალთან დაკავშირებული კითხვები გვაწუხებს. როგორი იქნება 2020 წელი და რას მოგვიტანს თეთრი ვირთხის წელიწადი?

თეთრი ვირთხა 2020

თაგვი ჩინური ჰოროსკოპით პირველი ცხოველია. სწრედ ის ითვლება ყველაზე პატივსაცემ ნიშნად. ის გამოირჩევა უმაღლესი ინტელექტით და ინტუიციით. თაგვი შესანიშნავი სტრატეგისტი და ტაქტიკოსია. ამიტომაც, ჩუმი და ეშმაკი ცხოველი თავისუფლად ართმევს თავს ცხოვრებისეულ პრობლემებს. აღსანიშნავია, ჩინური კალენდრის თანახმად, ახალი 2020 წელი პირველ იანვარს კი არ დაიწყება, არამედ მეორე მთვარეობისას. თეთრი თაგვის წელი ძალაში შევა 2020 წლის 25 იანვარს და დასრულდება 2021 წლის 11 თებერვალს.

2020 წლის სტიქია ლითონია, ხოლო ფერი, შესაბამისად, თეთრი. ლითონი ხანგრძლივი მასალაა, სიმტკიცე, ბრძოლა, ძალა ახასიათებს. ასეთია თეთრი თაგვი, სამართლიანობისთვის მებრძოლი და ურყევი ხასიათით გამოირჩევა.

თეთრი ფერი სისუფთავის, სიბრძნის, გულწრფელობის, კეთილი ზრახვების და სრულყოფილების სიმბოლოა. წლის სიმბოლოს სურვილი ექნება დაეხმაროს მათ, ვისაც უნდა, რომ მიზანს სუფთა გზებით მიაღწიოას, უფრთხილდება გარემოს და პატივისცემით ეპყრობა ადამიანებს. ისინი, ვინც ცდილობენ მიზანს არაკეთილსინდისიერად მიაღწიონ, ელოდებათ მარცხი და იმედგაცრუება.

როგორი იქნება 2020 წელი

ჩინური ჰოროსკოპი გვარწმუნებს, რომ თაგვის წელი და ლითონის სტიქია წარმატებას მიზანდასახულ და ამბიციურ ადამიანებს მოუტანს. იმათ, ვისაც უნდათ, რომ გამდიდრდნენ და დაიმკვიდრონ მაღალი პოზიცია, საზოგადოებაში, თეთრი თაგვი დაეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში. ასევე, თეთრი თაგვი ადამიანებს დაეხმარება გახდნენ შორსმჭვრეტელები, ხოლო, ლითონის სტიქია მოთმინების ძალას მისცეს. თაგვს მშვენიერი მახსოვრობა აქვს. მას უნარი აქვს უმცირესი დეტალების დაფიქსირების და ქვეცნობიერად ჩაწვდეს ნებისმიერი ინფორმაციის სიღრმეებს. ის ყოველთვის სავსეა ენერგიით, შეუძლია ერთდროულად რამდენიმე საქმე გააკეთოს და სვებისგან მოითხოვს მინიმალურ ჩარევას. იქიდან გამომდინარე, რომ თაგვი სიყვარულის და ყურადღების სიმბოლოა, სჯობს 2020 წელს ურთიერთობები უერთიერთნდობით შექმნათ. რაც შეეხება ჯანმრთელობას, ამ მხრივ 2020 წელი ყველას გაახარებს. ექსპერტები გვირჩევენ, ვიყოთ აქტიურები, სპორტით დავკავდეთ, გამოვიდეთ კომფორტის ზონიდან.

როგორ შეეხვდეთ 2020 წელს

მიუხედავად იმისა, რომ თაგვს აწერენ ბეწვის ღირებულებებს, ის პრაგმატულია და ვერ მოითმენს ზედმეტ ნივთებს და ნაგავს სახლში. მიზანშეწონილია ახალ წლამდე სახლში გენერალური დასუფთავება. კარგი იქნება მოაგვაროთ კომფლიქტური სიტუაციები და გაიწმინდოს სარკე, რომლითაც შუქი შემოდის სახლში.

რადგანაც თაგვებს უყვართ მყუდრო "ბუდე", კარგი იქნება ახალი წლის დღესასწაული ოჯახთან ერთად გაატაროთ სახლში. რაც შეეხება ფერთა გამებს, 2020 წლის დიასახლისს უყვარს მშვიდი ფერები: ნაცრისფერი, თეთრი, შავი. ფერების ამ ბაზის გამოყენება შეიძლება როგორც ინტერიერისთვის, ასევე საკუთარი სტილისთვის. 2020 წლის სადღესასწაულო სუფრასთან აუცილებელია იყოს ყველი, მისი ყველა მრავალფეროვნებით, მოცარელა და პარმეზანი საუკეთესო არჩევანი იქნება.

რამოდენიმე საინტერესო ფაქტი,რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეთ

- ამერიკის მთავრობამ ქალალდის ფულის ბეჭდვა 1862 წლიდან დაიწყო,რისი მიზანიც ლინოსნის ეკონომია გახლდათ;
- შობის დილას წამვის ხეზე ობობას ქსელის დანახვა უკრაინაში დადებითი მოვლენის მომასწავებელი ნიშანია;
- ჰავაიზე თოვლის ბაბუას "კანაკალოკას" ეძახიან;
- შობა–ახალ წელს ბერძნები ძველ პეხსაცმელებს წავავენ,რაც წარუმატებლობისგან განთავისუფლების სიმბოლოდ მიიჩნევა;
- ახალგაზრდა ტიბეტელი ყმაწვილები მოწონებულ გოგონას ქუდს ჰპარავენ.თუკი მათი ინტერესის ობიექტი ქუდის დაბრუნებას მოითხოვს,ესე იგი,შეხვედრაზე თანახმაა,წინააღმდეგ შემთხვევაში,ქუდი ქურდს "საჩუქრად"რჩება;

მრავალმხირვი სპორტსმენი

დაბლა გომელი რობიზონ მეგენეიშვილი ჩემი უფროსი ძმის უახლოესი ამხანაგი და მეგობარი იყო. ისინი ერთად თამაშობდნენ სოფლის კოლმეურნეობის გუნდში ფეხბურთსა და ლელო ბურთს. ამ სახეობის გარდა იგი დიდი გატაცებით მისდევდა სპორტის სხვადასხვა სახეობასაც და ტოლს არ უდებდა არავის.

სოფელში თბილი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდებთან, რომელსაც ყველა სიყვარულით ვეძახდით.

დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდა ფეხბურთს და ლელო ბურთს ლავრენტი გიორგაძის, ოთარ ჩხაიძის, მიხეილ ხუნდაძის, გურამ ამაღლობელის, სულიკო გოგიშვილის, ავთანდილ ჩაჩუას, ნუკრი ლორიას, ვაჟა ცინცაძის, ვახტანგ ჩხაიძის, ისაკი ჩაჩუას, უსუპი კობრავას, ჯემალ არველაძის, ნოდარ ნიკოლეიშვილის, ჟორა ჩხაიძის, ილორსი ჩაჩუას, დემურ ჩაჩუას, ჯემალ ჩაჩუას, გივი ცინცაძის, ნიკადი ჩაჩუას და სხვების მხარდამხარ.

რობიზონი წლების განმავლობაში სამტრედია-გაზის ტრესტში მუშაობდა სხვადასხვა ადგილებზე.

მის ოჯახში მრავლად ინახება მის მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებული ჯილდოები შრომასა და სპორტში.

რობიზონ მეგენეიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა, რომელსაც ამ დღეებში 81 წელი შეუსრულდებოდა.

მისმა გარდაცვალებამ ყველას გული დაგვწყვიტა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული ჩემო რობიზონ.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

გახსენება
ადამიანი, რომელიც დააკლდა ყველას

ღვაწლმოსილი ექიმის, ირა მიქაშავიძის გარდაცვალებამ ჩემში უდიდესი ტკივილი გამოიწვია. მე წილად მხვდა ბედნიერება წლების მანძილზე მქონოდა მასთან ახლო ურთიერთობა. იგი გავიცანი დიდი ხნის წინათ, როცა მე მუშაობა დავიწყე სამტრედიის ბავშვთა საავადმყოფო _ პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, რომელიც მაშინ სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მთავარი ექიმისა და ყველასათვის საყვარელი ადამიანის, ვახტანგ დუნდუას მოადგილედ მუშაობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ დიდი ხნის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა სამედიცინო დაწესებულებას.

სათნო ქალბატონი ყოველ დილით ადრე ფეხით, კოხტა ნაბიჯებით მიუყვებოდა ნაცნობ გზას საავადმყოფოსაკენ და შინ გვიან ბრუნდებოდა. მას ქუჩაში ესალმებოდა ყველა _ ნაცნობი და უცნობიც. ისიც თავის დაკვრით მიაგებებდა სამაგიერო სალამს ჩვეული ღიმილით. მისი მრავალწლიანი მუშაობის პერიოდში იგი უშურველად უზიარებდა თავის მდიდარ საექიმო გამოცდილებას ახალგაზრდა, დამწყებ ექიმებს, რომელთა უმრავლესობა ახლაც წარმატებით აგრძელებს შრომით საქმიანობას სამედიცინო დაწესებულებაში.

დიდი ხნის წინათ მას სამართლიანად მიეკუთვნა და ღირსეულად ატარებდა სამტრედიის საპატიო მოქალაქის წოდებას.

სამტრედიის სამედიცინო საზოგადოებას ამშვენებდა ჩვენს რაიონში სხვადასხვა დროს მოღვაწე ცნობილი ექიმების მიხეილ ნამიჩეიშვილის, ვახტანგ დუნდუას, გენო გეგეშიძის, ილია ბოთერაშვილის, ვახტანგ ნაცვლიშვილის, შოთა კალაძის, ლევან ნანეიშვილის, დემნა გიორგაძის, ვაჟა თევზაძის, ქეთო მიქაძის, გუგული კახაძის, კემა პაპავას, გიორგი ჩხარტიშვილის, თამაზ ჩომახიძის, რობერტ მიხელაშვილის, ვაჟა ტერელაძის, თამაზ კაკაბაძის, თემურ მშვიდობაძის, სოსო ნანეიშვილის და სხვების მხარდამხარ.

ქალბატონი ირა მიქაშავიძის გარდაცვალებიდან სულ ახლახანს 5 წელი გავიდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

ფეხბურთი პირველად

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებული ფეხბურთში გახდა ლივერპულის "ლივერპული", რომელმაც 21 დეკემბერს ყატარში გამართულ ფინალურ მატჩში მინიმალური ანგარიშით 1 : 0 დაამარცხა ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი რიოდე-ჟანეიროს "ფლამენგო".

შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 0 :0 დასრულდა. გამარჯვების გოლი კი დამატებითი დროის მე-9 წუთზე გაიტანა "ლივერპულის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა რობერტო ფირმინომ. "ლივერპულმა" თავისი ისტორიის მანძილზე პირველად დაისაკუთრა ეს ტიტული.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს "ლივერპულის" აფრიკელი ლეგიონერი, მარჯვენა გარემარბი მოჰამედ სალაჰი.

ირაკლი ნიკოლეიშვილი

ახალგაზრდა კარატისტების საახალწლო საჩუქარი სამტრედიას

სამტრედიელი კარატისტებისა და მათი მწვრთნელის, სენსეი მიხეილ ქანთარიას წარმატებებს ჩვენი მკითხველი დიდი ხანია ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს.

რაოდენ სასიხარულოა, რომ კარატისტთა უფროსი თაობის მხარდამხარ მომავალი ცვლაც იზრდება, რომლებიც ეუფლებიან სპორტის ამ ლამაზ და ვაჟკაცურ პროფესიას. ორმაგად საამაყოა, რომ ვაჟებს ტოლს არც გოგონები უდებენ.

სამტრედიელი კარატისტების კიდევ ერთი წარმატების შესახებ მოგითხრობთ ამჯერად.

2019 წლის 21-22 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში. "MATSUSHIMA"-ს ორგანიზაცია. სადაც სხვა გუნდებთან ერთად მონაწილეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ბატონი ივანე კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი, სენსეი ბატონი მიხეილ ქანთარია) მოსწავლეები. სამტრედიელთაგან წარმატებას მიაღწიეს ახალბედა კარატისტებმა, ლუკა ხარაულმა და ნიკა ნიკურაძემ, ისინი პირველად მონაწილეობდნენ ჩემპიონატში. მათ ჩაატარეს სამ-სამი ორთაბრძოლა, ხოლო ფინალში დათმეს შეხვედრა და დამსახურებულად დაიკავეს მეორე საპრიზო ადგილები.

წარმატებებს ვუსურვებთ ახალბედა კარატისტებს.

ლევან გაბეჩავა

ვულოცავთ!

თამაზ ნიკურაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ თამაზ! ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი, წარმატებები მოეტანოს დამდეგ ახალ წელს!

"სამტრედიის მაცნე"

ლიკა გოგიას და ბარბარე ფირცხალაიშვილს!

საყვარელ დედა-შვილს, ლიკას და ბარბარეს გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარული და ასრულებული ოცნებები მოეტანოს დამდეგ ახალ წელიწადს თქვენი ოჯახისთვის. ხვავი და ბარაქა, ჯანმრთელობა და სიყვარული დაგებედოთ.

"სამტრედიის მაცნე"

ბესო ლეჟავას!

ჩვენი ოჯახის უახლოეს და უსაყვარლეს პიროვნებას, მრავალი ღირსეული სპორტსმენის აღმზრდელ, მწვრთნელ-მასწავლებელს, ბატონ ბესო ლეჟავას ვულოცავთ სახელოვან იუბილეს.

წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უფალმა გაგაძლიეროს ჩვენო ბესო!

მერაბ არჩვაძე ოჯახით

ავთანდილ კაშია და აპალონ ხაჟალია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის სახელით ყველა ვეტერანს და მათ ოჯახებს ულოცავენ დამდეგ ახალ წელს, უსურვებენ ჯანის სიმრთელეს და ოჯახურ ბედნიერებას.

ლილე ერქვანიძეს!

მზესავით ბრდღვიალა გოგოს, იასავით ლამაზს, ჩემს პატარა ლილეს დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელი და ბედნიერი, სასახელო მინდა გამეზარდოს. ყველაფერი საუკეთესო დაუბედოს კარს მომდგარმა ახალმა წელმა.

ანანო ნათლია

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნამვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა